ლუკა ობოლაძე | ალექსანდრე ლაცაბიძე
თავისუფალი უნივერსიტეტი
lobol20@freeuni.edu.ge | a.latsabidze@freeuni.edu.ge

შავი ზღვა: რეგიონული დინამიკა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის უსაფრთხოების სტრატეგია

რეზიუმე

რუსეთის მიერ 2014 წელს ყირიმის ანექსიისა და 2022 წელს უკრაინის მიმართ სრულმასშტაბიანი აგრესიის განხორციელების შედეგად, შავი ზღვის რეგიონისადმი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყურადღება მნიშვნელოვნად გაიზარდა. სტატიის მიზანს წარმოადგენს დადგენა, თუ რა გეოპოლიტიკური როლი აქვთ შავი ზღვის რეგიონში მოქმედ აქტორებს და რა ნაბიჯები შეიძლება გადადგას „ნატო“-მ რეგიონში უსაფრთხოების დონის კიდევ უფრო გასაზრდელად. ნაშრომში ხაზი აქვს გასმული „ნატო“-ს პარტნიორი სახელმწიფოების მნიშვნელობას და შავი ზღვის რეგიონის უფრო ფართო ჭრილში განხილვის აუცილებლობას, აგრეთვე განხილულია შავი ზღვის რეგიონში არსებული დინამიკა.

საკვანძო სიტყვები: შავი ზღვა, რეგიონი, უსაფრთხოება, გეოპოლიტიკა.

რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ინტერესები შავ ზღვაში, კიდევ უფრო აქტუალური გახდა. ეს ფაქტი აისახა „ნატო“-ს საპარლამენტო ასამბლეის 485-ე რეზოლუციაში, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ სახელმწიფოებს შავი ზღვის მიმართულებით თანმიმდევრული სტრატეგიის შემუშავებისკენ მოუწოდებს (NATO Parliamentary Assembly, 2023).

აღსანიშნავია, რომ „ნატო“-ს შავი ზღვის სტრატეგიაში საკვანძო ქვეყანას, თავისი მდებარეობიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, თურქეთი წარმოადგენს, რომელიც ალიანსს საშუალებას აძლევს, წვდომა ჰქონდეს შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონებზე. 1936 წლის მონტროს კონვენციის მიხედვით სწორედ თურქეთს აქვს მინიჭებული უფლება და ვალდებულება, შავ ზღვაში სამხედრო ხომალდების მოძრაობა კონვენციაში გაწერილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით არეგულიროს, რაც მას რეგიონული უსაფრთხოების დინამიკაზე დიდ გავლენას აძლევს (Kochis, 2021). კონკრეტულად შავ ზღვაში არსებულ რეგიონულ ძალთა ბალანსს რომ დავუბრუნდეთ, ის დიდწილად რეგიონის ორ ყველაზე დიდ სახელმწიფოს, თურქეთსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობის დინამიკით განისაზღვრება. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი და რუსეთი რიგ საკითხებზე თანამშრომლობენ (მაგალითად, თურქეთი დღემდე ყიდულობს რუსულ ბუნებრივ რესურსებს), გრძელვადიან პერსპექტივაში მათი ინტერესები შავი ზღვის რეგიონში დაპირისპირებულია. მათ შორის დაძაბულობის რისკის ზრდას 2015 წელსაც გაესვა ხაზი, როდესაც თურქეთმა რუსული სუ-25 ტიპის სამხედრო თვითმფრინავი სირია-თურქეთის საზღვართან ახლოს ჩამოაგდო, რასაც რუსეთისგან მწვავე რეაქცია მოჰყვა. თურქეთმა „ნატო“-ს ქვეყნებს მოუწოდა გააქტიურებისკენ, რათა შავი ზღვის „რუსეთის ტბად“ გადაქცევა აცილებულიყო თავიდან (Coffey and Kasapoğlu, 2023). რუსეთის შავი ზღვის ფლოტი და მის მიერ ყირიმის ანექსია წარმოადგენს პრობლემას არა მხოლოდ ნატოს აღმოსავლეთ ნაწილისთვის, არამედ სამხრეთისთვისაც. უკრაინაში უკანონო შეჭრა და სირიის ტარტუსის პორტში რუსეთის შავი ზღვის ფლოტის გამოყენებით განხორციელებული ქმედება ხაზს უსვამს, რომ რუსეთი მზადაა თავისი

გავლენა კიდევ უფრო გლობალური, ხშირად თურქეთის ინტერესების საწინააღმდეგო მიზნებისთვის გამოიყენოს (Coffey and Kasapoğlu, 2023). მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისა და თურქეთის საერთო ინტერესებშია შავ ზღვაში უცხოური ფლოტების გავლენის ზრდის თავიდან აცილება, თურქეთი თავს საშუალებას ვერ მისცემს, დასავლური მხარდაჭერის გარეშე რუსეთის პირისპირ დარჩეს. შავი ზღვის რეგიონს მნიშვნელოვან დინამიკას მატებს რუმინეთის როლის გააქტიურება, სადაც 2030 წლისთვის დასრულდება რუმინეთის საზღვაო ქალაქ კონსტანცასთან ახლოს მდებარე უკვე არსებული „მიჰაილ კოგალნიჩეანუს“ სახელობის ბაზის გაფართოების პროექტი (Necsutu, 2024). მოცემული საჰაერო სამხედრო ბაზა სიდიდით გერმანიაში არსებულ „რამშტაინის“ ბაზასაც კი გადააჭარბებს და „ნატო“-ს ყველაზე დიდი ბაზა იქნება ევროპაში, რომელიც 10000 ჯარისკაცს დაიტევს. ეს ბაზა საშუალებას მისცემს „ნატო“-ს საჰაერო ძალებს აკონტროლონ ვითარება როგორც აღმოსავლეთ ევროპისა და შავი ზღვის მიმართულებით, ასევე ჰქონდეთ ახლო აღმოსავლეთში სამხედრო ქმედებების განსახორციელებლად ოპერაციული მზადყოფნა (Ernst, 2024).

„ნატო“-ს შესაძლო ნაბიჯები

ამ ყოველივეზე დაყრდნობით ჩნდება კითხვა, თუ კიდევ რა ნაბიჯები შეიძლება გადადგას „ნატო“-მ, რათა უკრაინაში მიმდინარე ომისა და რეგიონული დინამიკის ფონზე შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების დონე კიდევ უფრო გაზარდოს. პირველი ინიციატივა, რომელიც საკმაოდ პერსპექტიულად გამოიყურება, შავ ზღვაში ბალტიის საჰაერო პატრულირების მისიის მსგავსი საზღვაო მისიის შექმნას ეხება (Coffey and Kasapoğlu, 2023). მოცემული მისია „ნატო“-ს წევრი ქვეყნების მიერ როტაციული პრინციპით ლიეტუვასა და ესტონეთში მდებარე საჰაერო ბაზებზე თავდაცვითი საჰაერო დანაყოფების გაგზავნას გულისხმობს, რაც ბალტიის ქვეყნების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს (NATO, 2024). მსგავსი საპატრულო მისიის განხორციელება შესაძლებელია „ნატო“-ს წევრ შავი ზღვის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობისა და „ნატო“-ს წევრი სხვა მეგობარი სახელმწიფოების ჩართულობის გზით. ამ პროექტის პროტოტიპად შეგვიძლია განვიხილოთ უკვე არსებული თურქეთს, რუმინეთსა და ბულგარეთს შორის დადებული ხელშეკრულება შავი ზღვის წყლების ნაღმებისგან გათავისუფლების შესახებ (Aljazeera, 2024). მოცემული მისიის განსახორციელებლად გამოსადეგი იქნება რუმინეთში არსებული და 2030 წლისთვის უკვე განახლებული „მიჰაილ კოგალნიჩეანუს“ ბაზაც, რომელიც საჭიროების შემთხვევაში „ნატო“-ს საზღვაო საპატრულო მისიას შავ ზღვაში საჰაერო თავდაცვით უზრუნველყოფს. ამ წამოწყებაში ჩართვა კარგი შანსი იქნება საქართველოსთვის, რომელსაც შეეძლება ჩაერთოს შავ ზღვაში დაგეგმილ სამომავლო წვრთნებში და კიდევ უფრო გაამყაროს „ნატო“-სთან თანამშრომლობა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე შავი ზღვის საკითხებში. შავი ზღვის საპატრულო მისიის განხორციელების სირთულე იმაში შეიძლება მდგომარეობდეს, რომ მონტროს კონვენციის მიხედვით შავ ზღვაში ერთდროულად 9 სამხედრო გემზე მეტის ყოფნა, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროს არ ეკუთვნის, არ შეიძლება. ასევე შეუზღუდულია ამგვარი გემების ყოფნის დრო 21 დღემდე (Lancaster, 2023). შესაბამისად, საჭირო იქნება თურქეთთან აქტიური მოლაპარაკებების წარმოება მისიის ზუსტ ფორმატსა და შინაარსთან დაკავშირებით, თუმცა, თუ გავიხსენებთ 2008 წელს თურქეთის მიერ გარკვეული ყოყმანის შემდეგ აშშ-ს ჰუმანიტარული მისიის მქონე გემების შავ ზღვაში გატარებას, გავაცნობიერებთ, რომ თურქეთთან ამ მიმართულებით თანამშრომლობის პრეცედენტი არსებობს (Coffey and Kasapoğlu, 2023). ამ უკანასკნელი დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად კიდევ ერთი გზაა „ნატო“-ს მხრიდან დუნაი-შავი ზღვის არხის გამოყენება. ეს არხი რუმინეთის გავლით დუნაის შავ ზღვასთან აკავშირებს (Kochis, 2021). იმისათვის, რომ მოცემულმა არხმა სამხედრო გემების მიღება და გატარება შეძლოს მისი ინფრასტრუქტურული რენოვაცია იქნება საჭირო, თუმცა

ეს ტექნიკურად გადაჭრადი პრობლემაა. დუნაი-შავი ზღვის არხი საშუალებას მისცემს იმ გემებს, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროს მქონე სახელმწიფოებს არ ეკუთვნიან, არხში ყოფნით თავი აარიდონ მონტროს კონვენციის როგორც რაოდენობრივ, ისე დროით შეზღუდვებს და შავ ზღვაზე მუდმივი წვდომა ჰქონდეთ (Coffey, 2020).

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურა „ნატო“-ს გადასახედიდან.

„ნატო“-ს შავი ზღვის სტრატეგიას თუ უფრო გლობალურ ჭრილში შევხედავთ, მას ორი მნიშვნელოვანი საყრდენი უნდა ჰქონდეს: „ნატო“-ს წევრ შავი ზღვის ქვეყნებსა და უკრაინას შორის უფრო მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობის მხარდაჭერა, რაც შავ ზღვაში რუსეთის წინააღმდეგ ბუნებრივ ბარიერს შექმნის, და შავი ზღვის სტრატეგიის განხილვისას კასპიის ზღვის რეგიონისთვის მნიშვნელოვანი როლის მინიჭება. პირველი მათგანის საფუძველი უკვე დიდწილად არსებობს, პირველ რიგში თურქეთსა და უკრაინას შორის არსებული ინტენსიური სამხედრო თანამშრომლობის სახით, რომელმაც რუსეთს უკვე არაერთი საგრძნობი დარტყმა მიაყენა (Coffey and Kasapoğlu, 2023). თუ თურქეთი და რუსეთი შავი ზღვის რეგიონში ბუნებრივი მეტოქეები არიან, თურქეთი და უკრაინა, ისევე როგორც რუმინეთი და ბულგარეთი, ამ რეგიონში ბუნებრივი მოკავშირეები არიან რუსეთის გავლენის წინააღმდეგ. ამას ისიც ადასტურებს, რომ თურქეთი ყოველთვის მიესალმება მრავალმხრივი პლატფორმების მეშვეობით თანამშრომლობას შავი ზღვის რეგიონში და ის ყოველთვის მხარს უჭერდა რუმინეთისა და ბულგარეთის „ნატო“-ში გაწევრიანებას (Dalay and Sabanadze, 2024). რაც შეეხება კასპიის ზღვას, მისი შავი ზღვის რეგიონისგან განცალკევებით განხილვა შეუძლებელია, რადგან რუსეთი შავ ზღვაში თავისი ძალების გასაძლიერებლად და უკრაინაში ომის საწარმოებლად ვოლგა-დონის არხს იყენებს, რომლის მეშვეობითაც კასპიის ზღვიდან აზოვის და შემდეგ შავ ზღვაში კასპიის ფლოტის ნაწილები გადმოჰყავს. გარდა ამისა, კასპიის ზღვა მნიშვნელოვანი დამაკავშირებელია რუსეთსა და ირანს შორის (Coffey and Kasapoğlu, 2023). ამ მიმართულებით „ნატო“-სთვის სტრატეგიის შემუშავება უფრო რთულია გეოგრაფიული მიზეზების გამო, თუმცა ისეთ საკვანძო ქვეყნებთან თანამშრომლობით, როგორიც აზერბაიჯანია, სტრატეგიის შექმნა ამ რეგიონზეცაა შესაძლებელი. ბუნებრივია, ორივე მიმართულებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭება საქართველოს როლს მისი შავ და კასპიის ზღვებთან სიახლოვიდან გამომდინარე, რაც მისი სტრატეგიული მნიშვნელობის ზრდას გამოიწვევს.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „ნატო“-ს ინტერესებშია რაც შეიძლება სწრაფად შეიქმნას შავი ზღვის რეგიონში ისეთი გეოპოლიტიკური არქიტექტურა, რომელიც რუსეთის გავლენას რაც შეიძლება ეფექტიანად შეამცირებს და რეგიონულ უსაფრთხოებას კიდევ უფრო გაამყარებს. ამ მიზნის მისაღწევად კი ერთადერთი გზა როგორც „ნატო“-ს წევრი შავი ზღვის ქვეყნების - თურქეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის, ისე „ნატო“-ს პარტნიორი სახელმწიფოების, საქართველოსა და უკრაინის, ჩართულობაა.

ბიბლიოგრაფია

Aljazeera. "NATO allies Turkey, Romania, Bulgaria sign deal to clear Black Sea mines." *aljazeera.com.* January 11, 2024. https://www.aljazeera.com/news/2024/1/11/nato-allies-turkey-romania-bulgaria-sign-deal-to-clear-black-sea-mines.

Aronsson, L. & Mankoff, J. *The Inhospitable Sea: Toward a New U.S. Strategy for the Black Sea Region.* CSIS, 2023.

Bechev, D. "Closer Ties to the West Don't Mean Turkey Will Give Up On Russia." *Carnegie Endowment.* February 7, 2024. https://carnegieendowment.org/politika/91571.

Binnendijk, A. "Understanding Russian Black Sea Power Dynamics Through National Security Gaming." *RAND Corporation.* October 13, 2020. https://www.rand.org/pubs/research_reports/RR3094.html.

Bryjka, F. "How the War in Ukraine Impacts NATO Policy in the Black Sea Region." *The Polish Institute of International Affairs.* May 5, 2023. https://pism.pl/publications/how-the-war-in-ukraine-impacts-nato-policy-in-the-black-sea-region.

Coffey, L. and Kasapoglu, C. *A New Black Sea Strategy for a New Black Sea Reality.* Policy Memo, Hudson Institute, 2023.

Coffey, L. "To Boost NATO's Presence in the Black Sea, Get Creative." *defenseone.com.* May 30, 2020. https://www.defenseone.com/ideas/2020/05/increasing-natos-presence-black-sea-time-get-creative/165760/.

Coffey, L. and Kochis, D. *NATO Summit 2021: Black Sea Strategy Needed.* Issue Brief, The Heritage Foundation, 2021.

Colibășanu, A., Dinu, L., Godzimirski, J. & Scutaru, G. *How the Snake Island matters in the context of the 2022 war in Ukraine?* NUPI, 2022.

CSIS. "Navigating Security Challenges in the Black Sea Region." *CSIS.* January 11, 2024. https://www.csis.org/analysis/navigating-security-challenges-black-sea-region.

Dalay, G. and Sabanadze, N. *How geopolitical competition in the Black Sea is redefining regional order.* Chatham House, 2024.

Ernst, I. "Russia warns Romania over building "largest Nato military base" in Europe." *intellinews.com.* March 19, 2024. https://www.intellinews.com/russia-warns-romania-over-building-largest-nato-military-base-in-europe-317479/?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR2fu-5qGU8YNOVGOHQb4MjYn9Hd3sbx99_N8BL73d--gXhnzFJqbzEfz-s_aem_AY34Kb91kv1Q1TVWR5edvj987UBDvb3r7fnyJzer7-okC66izly0y9Xl5C.

Flanagan, S. J., Binnendijk, A., Chindea, I. A., Costello, K., Kirkwood, G., Massicot, D. & Reach, C. "Russia, NATO, and Black Sea Security." *RAND Corporation.* October 5, 2020. https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RRA300/RRA357-1/RAND_RRA357-1.pdf.

Galeotti, M., Lanoszka, A. & Rogers, J. "The Black Sea region: Beyond NATO." *Council on Geotrategy.* November 25, 2021. https://www.geostrategy.org.uk/research/the-black-sea-region-beyond-nato/.

Hooker, R. D. Jr. *A Security Strategy for the Black Sea.* Atlantic Council, 2023.

Lancaster, M. *TROUBLED WATERS – HOW RUSSIA'S WAR IN UKRAINE CHANGES BLACK SEA SECURITY.* NATO Parliamentary Assembly, 2023.

Metodieva, A. & Keranov, D. "Bulgaria Needs a Stronger Voice in Black Sea Security." *GMF.* February 23, 2024. https://www.gmfus.org/news/bulgaria-needs-stronger-voice-black-sea-security.

Ministry of Foreign Affairs of the Republic of Türkiye. "Turkey's and NATO's views on current issues of the Alliance." *mfa.gov.tr.* n.d. https://www.mfa.gov.tr/ii_---turkey_s-contributions-to-international-peace-keeping-activities.en.mfa#:~:text=In%20this%20regard%2C%20Turkey%20welcomed,and%20stability%20in%20the%20Euro%2D.

NATO. “20 YEARS OF BALTIC AIR POLICING - STRONG SYMBOL OF NATO COHESION AND SOLIDARITY.” *ac.nato.int.* April 18, 2024. https://ac.nato.int/archive/2024/20_years_BAP_COMAIRCOM.

NATO Parliamentary Assembly. “STRENGTHENING STABILITY AND SECURITY IN THE BLACK SEA REGION RESOLUTION 485.” Copenhagen, 2023.

NATO. “NATO’s military presence in the east of the Alliance.” *NATO.* December 8, 2023. https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_136388.html.

Necsutu, M. “Romania To Host Largest NATO Military Base in Europe.” *balkaninsight.com.* March 21, 2024. https://balkaninsight.com/2024/03/21/romania-to-host-largest-nato-military-base-in-europe/?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR05dInf20N9LJU4Za86gpH5z6Vp-3NfO6tMBWBihD_3qByE15DQXETfyec_aem_AY1pBqHjfDWCR_DQPEqecWYw6LaT4spGWuMYJNrVCIsuEdhvqIcvJXFnWDnFe39XF8XOwYmYnf_.

Necsutu, M and Todorov, S. “Romania, Bulgaria to Strengthen Security Amid Ukraine War Fears.” *Balkan Insight.* January 26, 2022. https://balkaninsight.com/2022/01/26/romania-bulgaria-to-strengthen-security-amid-ukraine-war-fears/.

Nettles, A. C. “The Black Sea Thread in Russian Foreign Policy and How the United States Can Respond.” *Marine Corps University Journal*, 2022.

Petersen, A. “Black Sea Security: The NATO Imperative.” *Wilson center.* August 20, 2004. https://www.wilsoncenter.org/publication/black-sea-security-the-nato-imperative.

Stan, T. “Romania: NATO’s Frail Anchor in a Turbulent Black Sea.” *Carnegie Council.* April 5, 2019. https://www.carnegiecouncil.org/media/article/romania-natos-frail-anchor-in-a-turbulent-black-sea.

Wezeman, S. T. and Kuimova, A. “Bulgaria and Black Sea Security.” *SIPRI.* December 2018. https://www.sipri.org/publications/2018/sipri-background-papers/bulgaria-and-black-sea-security.